


საგაზელო

საერთოული გაზეთი

პარასკევი 12 დეკემბერი 2003 №237 (2008)

ფასი 50 თეთრი




WORLD SOCCER

საღსის არჩევანი ნედვედი პაველას ბარბად იმიშაპა

გაყალბება გამორიცხულია! მართალია, ეგ ზიტკოლები და პარალელური დათვლები არ მონყობილა, მაგრამ პოპულარული გამოცემის, „უორლდ სოკერის“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგების სამართლიანობაში დაეჭვება უმადური საქმე გვგონია.

გამოკითხულ ქომავთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ 2002-03 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ტურინის „იუვენტუსისა“ და ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი, პაველ ნედვედი მიიჩნია.

ხალხმა მეორე ადგილი „მანჩესტერ იუნაიტედის“ პოლანდიელ თავდამსხმელ რუუდ ვან ნისტელროის, მესამე კი „რეალის“ კაპიტანსა და სიმბოლოს, რაულს არგუნა.



ბოლნისელი ყაველაშვილი სოტა ხნით სიონს დაეხმარება



გაბრიელ მთაბრაშვილი

ბოსლოდნელი მატჩი ბოლოდნელი ხალხით

გუშინ ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს ორი ნაკრები შეიკრიბა — კლუბების და ლეგიონერების ორმოცამდე ფეხბურთელმა ერთდროულად ივარჯიშა. კლუბები ნაკრებს ვაჟა ჟვანია წვრთნის, ლეგიონერებისას ლუის ცაკარიასი. ლეგიონერთა ნაკრებში ვიხილეთ ლოკომოტიველი ნანა და მისი თანამემამულე ბაბა მუსა, ვინც ჯერ არაა ლოკომოტიველი, მაგრამ ამ გუნდში ვარჯიშობს. ლეგიონერთა ნაკრებში იყვნენ ქართულ კლუბებში მოთამაშე ის ფეხბურთელები,

ვისაც ადრე უთამაშია უცხოეთში ან ისეთი გვარები აქვთ, როგორცაა ვერნერევი, პარამონოვი, კოლკოვი... მათთან იყო ეროვნული ნაკრების მოსკოვის სპარტაკელი მეკარე გიორგი ლომაია. მოკლედ, ვარჯიში ჩამთავრდა და დღეს ეს ნაკრებები ერთმანეთს უფას ანტირასისტული პროგრამით გაეჯიბრებინა. ჟვანია-ცაკარიასის ნაღებში თბილისის „დინამოდან“ არავინაა. მატჩი „ლოკომოტივის“ სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.

რას გააძაღნებს მეტაღურებს რეპეტიციები?

ალექსანდრე რეხვიაშვილს ჯერაც ვერ გაურკვევია საკუთარი მომავალი. მოსკოვი „ტორპედო-მეტალურგისა“ და ქართველი ნახევარმცველის ურთიერთობა ისევ გაყინულია. რეხვიაშვილი ახლა რიგაშია და მოსკოვში ზევ დაბრუნდება — იგი „ტორპედო-მეტალურგის“ თავკაცობას ერთხელაც უნდა შეხვდეს. ალექსანდრე რეხვიაშვილს გუშინ რიგაში შევეხმიანეთ




გაბრიელ მთაბრაშვილი

— სიახლე ჯერ არაფერია. კვირას მოსკოვში ჩავალ და ვნახოთ, რას და როგორ მოვილაპარაკებთ.
— ვის უნდა შეხვდე?
— ჯერ „ტორპედო-მეტალურგის“ ხელმძღვანელობას, მერე კი, გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს და ალბათ მასაც შევეხვდები.
— „ტორპედო-მეტალურგში“ დარჩენას ხომ არ აპირებ?
— შესაძლოა, ასეც მოხდეს არის გარკვეული შანსი, ამ გუნდში რომ დავრჩე, მაგრამ... მეტონი, უფრო წავალ.
— გაჩნდა ცნობები, რომ შენით ბულგარული კლუბები და ინგლისური „ლესტერი“ არიან დაინტერესებული...

— ეს ამბავი მეც გახეთქიდან გავიგე. „ტორპედო-მეტალურგის“ სპორტულმა დირექტორმა იური ბელოუსმა უთხრა ჟურნალისტებს, მაგრამ ჩემამდე არავინ მოსულა. ამ კლუბებიდან არავინ დამკავშირებია და ვერაფერს ვეტყვი.
— თავად არ იცი, რომელი კლუბები არიან შენით დაინტერესებული?
— ვიცი, რომ რუსული კლუბები აპირებენ ჩემ შემენას, მაგრამ კონკრეტულად რომელი, ვერ გავამხელ. ჯერ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი. ყველაფერი უფრო „ტორპედო-მეტალურგის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდება.

ბასა ზალაგაბერიძე

უცნაური ვერდიქტი გამოიტანა შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციამ: პირველ ლიგაში სამონაწილო თანხის არქონის გამო „სიონი“ ჯერ მოიკვეთა, თუმც შუა სეზონში ჩემპიონატს დაუბრუნდა. დაუბრუნდა ჭაბუკი მოთამაშეებით, ძველი პატრონით და ქართველით



პირველი ლიგის გათამაშება „სიონის“ გარეშე დაიწყო. მოგვიანებით კი კლუბი ძველ პრეზიდენტს გაახსენდა და „სიონში“ ფულით მივიდა. სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ერთი-ორი თვის მერე პროცესიც მოიგო — „სიონი“ ჩემპიონატში დაუშვეს

— მიხეილ ყაველაშვილი ამ გუნდში წლის ბოლომდე ითამაშებს. მოკლედ რომ ვთქვათ, „სიონში“ ასეთი ამბავი მოხდა: კლუბი წინა სეზონის ბოლოს გაკოტრდა და წლეულსაც, რა თქმა უნდა, ჩემპიონატში სამონაწილო თანხა ვერ გადაიხადა. შვეიცარიის

— არც ვიცი, ასეთ პრეცედენტი სხვა ქვეყანაში ყოფილა თუ არა, ფაქტი კია, ჩვენმა პრეზიდენტმა ფეხბურთის ასოციაციას სასამართლო მოუგო და გუნდიც ჩემპიონატში მოგვიანებით ჩართო — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა — პრეზიდენტმა „სიონის“ ყველა ვალი გაისტუმრა, ჩემს გარდა ერთი გამოცდილი ფეხბურთელიც მიიწვია, იტალიელ-შვეიცარიელი დიორიო, ახალგაზრდები კი გუნდში დაგვხვდნენ. პრეზიდენტმა ახლახან გამოცდილი მწვრთნელიც მოიყვანა, ფრანგულ გუნდებში ნამუშევარი ღვიძს. მის ხელში ოთხჯერ ვითამაშეთ და არ წავაგვიანა, თანაც სამჯერ მოვიგეთ.
— შენ როგორ მოხვდი „სიონში“?
— როცა პრეზიდენტმა სასამართლო მოიგო, გუნდის გაძლიერება დაიწყო. „სიონიდან“ ჯერ მე დამიკავშირდნენ, მერე - დიორიოს. კონტრაქტი ორივეს ლეკემბრის ბოლომდე გვაქვს. გამოდის, ორთვიანი კონტრაქტი გავაფორმე.
— გამორიცხავ, რომ გაისადაც „სიონში“ ითამაშო?
— ახლა ვერფერს ვეტყვი. ახალი წლიდან რა მოხდება, ვინ იცის. აგერ, მაგალითად, „გრასჰოპერი“ მწვრთნელს ათავის უფლებს, არიან სხვა გუნდებიც, სადაც ცვლილებები მოსალოდნელი და გაძლიერება სჭირდებათ. თანაც „სიონს“ ახლა კალენდარი აქვს ისეთი, ფიქრის დრო არაა. სამ დღეში ერთხელ ვთამაშობთ-ხოლმე.
— დანაკარგს ნელ-ნელა ანაზღაურებ?
— სხვა გუნდებს ჯერ კიდევ შვიდი თამაშით ჩამოვრჩებით. ლიგაში სულ 16 გუნდია, „სიონი“ მე-13 ადგილზეა. ის გამოტოვებული მატჩებიც თუ წარმატებით ჩავატარებთ, იქნებ უმაღლესსაც დავუბრუნდეთ.
— მადა ჭამაში მოდიხარ...
— მართლა ასეა. კლუბში უკვე უმაღლესში გადასვლაზე დაიწყეს

ფიქრი. თანაც პირველ ლიგაში ქულების დარღვევის სხვადასხვა ტიპია. თუ მეტოქეს შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩებით აჯობებ, ორი ქულაც გემატება. ჩვენ კი „ბელინცონას“ სტუმრად უკვე მოეუგეთ, ახლა ვმასპინძლობთ და შესაძლოა, პრემიალური ქულებიც მივიღოთ. თუ ასე მოხდა, სატურნირო მდგომარეობას კიდევ უფრო გავიუმჯობესებთ.
— „სიონში“ რამდენი გაიტანე?
— ორი. თუმც პირველი წრის დამთავრებამდე კიდევ ხუთი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და ალბათ ერთ-ორსაც გავიტან.
— მეტოქეებზე შვიდი მატჩით ნაკლები გვაქვს ჩატარებული და...
— პირველ წრეში გამოტოვებულ რამდენიმე მატჩს „სიონი“ გაზაფხულზეც ჩატარებს.
— მოკლედ, „სიონისთვის“ კალენდარი ცალკე შეადგინეს.
— კი, ასეა. აბა, ვის გაუგია ყოველ სამ დღეში თამაში?! „სიონის“ პრეზიდენტი ძალიან ამბიციური კაცია და ნაბიჯს არ დგამს უკან. ფედერაციას ასეთი კალენდრით თამაშზეც კი დათანხმდა, ოღონდ გუნდს ჩემპიონატში მონაწილეობა მიეღო. ამ კაცს უკავშირდება „სიონი“

ბოლოდროინდელი ყველა წარმატება. 1995 წელს ის იყო პრეზიდენტი და გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ახლაც სურს, რომ „სიონს“ ძველი სახელი დაუბრუნოს. „სიონი“ შვეიცარიაში საკმაოდ ავტორიტეტულად ითვლება და პრეზიდენტს უნდა, მისი გუნდი ხელწამოსაკრავი არ იყოს.
— სამწვრთნელო საქმეზე აღარ ფიქრობ?
— როგორ არა, მაგრამ ჯერჯერობით სწავლის დრო არ მაქვს. დეკემბერში სწავლის დაწყებას ვეღარ მოვასწრებ და ამ საქმეს ზაფხულისთვის გადავდებ. ჯერ „დ“ ლიცენზია უნდა ავიღო, რასაც ერთი კვირა დასჭირდება, მერე კი სწავლას უფრო სერიოზულ დონეზე განვაგრძობ. პროფესიონალის დიპლომის მისაღებად 3-4 წელი უნდა ვისწავლო.
— საქართველოს ნაკრების ახალ, სავარაუდო მწვრთნელზე არაფერი გსმენია?
— არაფერი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ფედერაცია ძალიან სერიოზული, სახელიანი მწვრთნელის მოწვევას აპირებს და ეს საკითხი ახალ წლამდე უნდა გადაწყდეს.

კობა ინასარიძე

უეფას თასი	
UEFA CUP	1/32 ფინალი. საპასუხო მატჩი. გუშინ
მპაპბი (ჰაიფა, ისრაელი) 0:4 ვალენსია (ესპანეთი) (0:0)	
0:1 მიგელ ანხელი (11), 0:2 ბარახა (24), 0:3 ალბელდა (90), 0:4 ანგულო (90)	
ამხანაგური მატჩი	
მატჩი 0:4 პოლონეთი	
ჭ. კალაშოვიძე	
ევროლიგა	
პირველი ჯგუფი მატჩი. VI ტურ. II დეკემბერი	
A ჯგუფი	
ოლიმპია 78:77 აპი	რომა 80:72 ციხონა
პარტიზანი 61:57 პარსალონა	
B ჯგუფი	
შალგირისი 98:75 პრაბა	ვილერბანი 77:92 ოლიმპიაპოლი
ზაპაბი 84:87 ცსპა	შლიონსი 76:69 ეფანი

პროფესორი გუგუშვილი გაფრთხილებს: მს სპონსორებაა ქართულის შესრულებით უაზრად ხელშეწყობილი მფრთხილი ფიქრობს მორბეობაზე, და არა მოზაზაზე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, ნიუ იორკის აკადემიის წევრი, ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის რექტორი, ასეთია პროფესორი ელგუჯა გუგუშვილის სამეცნიერო მიღწევათა არასრული ჩამონათვალი და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ასეთ პიროვნებას არცთუ მოკრძალებული საფეხბურთო ნარმატებებიც აქვს. პროფესორი გუგუშვილი უკვე 25 წელია, მწვრთნელია. სხვადასხვა დროს საქართველოს სტუდენტთა ნაკრები, საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები, თბილისური „ზოოვეტი“, „მორიენალი“ და თურქმენეთის ეროვნული გუნდი გაუწვრილდა. გუგუშვილი პირველი ქართული მწვრთნელია, რომელსაც სხვა ქვეყნის ნაკრებში უმუშავია.

ცოცხალი ხნის წინ ელგუჯა გუგუშვილს ბერძნული „იანინას“ მეპატრონემ ჯონი გიგანმა თანამშრომლობა შესთავაზა და პროფესორი ისევ არჩევანის წინაშე დადგა - ფეხბურთი თუ სამეცნიერო საქმიანობა.

გუგუშვილი თურქმენეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1998 წელს, ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს და ძირითადად სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობით იყო დაკავებული, თუმცა ფეხბურთზე ფიქრისთვის მაინც იცლიდა. ეს ხუთწლიანი ნაფიქრი ფურცლებზე გადაიტანა და მალე მისი პირველი საფეხბურთო ნაშრომიც გამოვა - „მწვრთნელის სამახსოვრო“.

ელგუჯა გუგუშვილის საფეხბურთო მოსაზრებები პრობლემატური და აქტუალურია. მან ჩვენთან შეხვედრისას ქართულ საკლუბო-სანაკრებო ფეხბურთის ნაკლოვანებებზე და მათი დაძლევის გზებზე ისაუბრა

— პროფესორი, აკადემიკოსი, 130-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი და საფეხბურთო მწვრთნელი. ცოცხალი უცნაურია და ალბათ ძნელი შესათავსებელიც ეს ორი საქმიანობა ერთი პიროვნებისთვის...
— ბავშვობიდან მიყვარდა მწვრთნელობა. სულ მწვრთნელი ვიყავი — ეზოს გუნდის, სკოლის, უნივერსიტეტის... ამის გარეშე არ შემიძლო.
— მწვრთნელი როგორღა გახდა მეცნიერი?
— არ ვიცი. ეს ცხოვრებისეულად მოხდა. ერთს ვიტყვი, ცხოვრებაში ვერაფერს მივაღწევდი, ფეხბურთის სიყვარული რომ არ მქონოდა. მწვრთნელობა ყოველთვის სტიმულს, სიმბნევებს მძაბუტდა და ეს არის მიზეზი, ჩემი სამეცნიერო საქმიანობა წარმატებული რომ გამოდგა.
— თურქმენეთში როგორ მოხვდით?
— იქ გურამ ასპინძელაშვილი და კახა ჭუმბურიძე თამაშობდნენ. მათ გუნდში იყო აგრეთვე მინგაზაევიც, ამ ბიჭს საკავშირო ტურნირებზე ვწვრთნიდი. თურქმენეთის ნაკრებში მწვრთნელის ვაკანსია რომ გაჩნდა, ამ სამუელმა რეკომენდაცია გამიწვია, თურქმენებიც დამიკავშირდნენ და მისივე კონტრაქტი გამიფორმეს.
— მახსოვს დებიუტი წარმატებული გაქონდათ...
— თავს არ ვიქებ, მაგრამ 1996 წელს ნაკრებმა ჩემი თავკაცობით 9 მატჩი გამართა და აქედან რვა მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა.

— ამბობენ, თქვენი თურქმენეთიდან წამოსვლა იქაური ფედერაციის პრეზიდენტთან კონფლიქტმა განაპირობა...
— ბორის შიხმურადოვი ფედერაციის პრეზიდენტის გარდა თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო. ერთ-ერთი სანაკრებო მატჩის წინ ფურცელი გამომიგზავნა, სადაც იმ ფეხბურთელთა გვარები ეწერა, ვინც, მისი აზრით, უნდა მეთამაშებინა. წავიკითხე მისი ნააზრები და იმ ფურცელს მეორე მხარეს წავაწერე: „გოტოვით, მიუთითოთ, შეცვლეთ რომელი წუთზე გავაკეთო“. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით ეს ფურცელი ისევე მიხმურადოვს მიუტანეს, თუმცა ამას გამწვავება არ მოჰყოლია. პრეზიდენტს ალბათ ეწყინა, მაგრამ ჩემთვის არაფერი უგარბობინებია. თურქმენეთიდან წამოსვლის მიზეზი სხვა რამ იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩინეთმა გვაჯობა, მეორეზე გავდით და უცებ მივხვდი, რომ მარცხით გამოწვეული სიტუაციის შეცვლა არ შემეძლო, თანაც საქართველოში უკვე რექტორის საგარემო მუშაობა ავლექი და წამოვედი. არადა, იმ პერიოდში საუდის არაბეთიდანაც მომივიდა მიწვევა, მაგრამ მაშინ სამეცნიერო საქმიანობამ და ოჯახმა ფეხბურთის სიყვარულს სძლია.
— ახლა რომელი აჯობებს? ჯონი გიგანმა „იანინას“ მთავარი მწვრთნელობა შემოგთავაზათ...
— საბერძნეთში თუ წავედი, სამსახური და ოჯახი უნდა დავტოვო და მთლიანად ფეხბურთზე გადავევლო. ეს შესაძლებელი იქნება იმ



შემთხვევაში, როცა ადგილზე გავეცნობი კლუბს, მის შესაძლებლობებს, საკონტრაქტო პირობებს...
— ესე იგი, ჯერაც არ მიგიღიათ ჯონი გიგანის წინადადება?
— აქაურობის დატოვება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ამის კომპენსაციას კონტრაქტი თუ იძლევა, წავალ „იანინაში“. საბოლოო გადაწყვეტილებას იანვარში მივიღებ, როდესაც საბერძნეთში გავემგზავრები გიგანთან ერთად.
— თქვენი საფეხბურთო მოსაზრებები ყოველთვის საინტერესო და სხვათაგან გამორჩეული იყო. რას ფიქრობთ საკლუბო და სანაკრებო პრობლემებზე?
— ჩვენში საკლუბო ფეხბურთის განვითარება მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატზე არ არის დამოკიდებული. ორი პირობითაა გამოსარჩევი: როგორ ვითარდება საკლუბო ფეხბურთი და რა ინფრასტრუქტურა და ფინანსური რესურსი გვაქვს. სხვათა შორის, მატერიალური თვალსაზრისით უკეთესი ვითარებაა. კლუბები უსახსრობას არ უჩივიან, მწვრთნელთა საშუალო ხელფასი 400-500 ლარია, რაც ამ ეტაპზე საკლუბო საქმარისა, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. დავიწყით იმით, რომ ბავშვი ვარჯიშობს ხელოვნურ მოედანზე. ეს დაუშვებელია. ასეთ მოედანზე ხშირია ტრავმირება და, რაც ნიშანდობლივია, დატვირთვებისას სხვა კუნთები მუშაობს და ვითარდება, ბუნებრივ ბალახზე კი სხვა.
ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენს ჩემპიონატში თვალნათლივ შეინი-

შნება დაცვითი ფეხბურთისადმი მიდრეკილება. გუნდები მინიმუმის შენარჩუნებაზე ფიქრობენ და არა მის გაზრდაზე. მთავარი აქცენტი არწავლებაზე კეთდება. ამის გამო დაეკარგეთ ინდივიდუალისტიკები და მივიღეთ სწორხაზოვანი, რაციონალური ფეხბურთი, რომელიც ქართველის შესრულებით საშინელი სანახავია.
— ქართველების უმთავრეს ნაკლად ბევრი ცუდი ფიზიკურ მომზადებას მიიჩნევს...
— ეს პრობლემის ერთ-ერთი ნაწილია. ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების დონე მართლაც დაბალია, სწრაფი ფეხბურთელი ფაქტობრივად გაქრა ჩვენს ჩემპიონატში. ფეხბურთში სისწრაფის 12 ფორმაა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მოძრაობის, შესრულებისა და აზროვნების სისწრაფეა. ამ კომპონენტებით კი დიდი სხვაობაა ჩვენსა და ევროპულ ფეხბურთს შორის. თითოეული ევროპული კლუბი სეზონში 70-მდე მატჩს თამაშობს, ჩვენთან კი საუკეთესო შემთხვევაში კლუბს 40-მდე თამაში გამოუვა. 30-მატჩიანი სხვაობა კი პრაქტიკის დიდი ნაკლებობაა. მნიშვნელოვანია თავად საწვრთნელი პროცესიც. ევროპაში ორჯერად ვარჯიშებს 5-6 საათს ანდომებენ, ჩვენში კი ამის ნახევარს. ამას დაუმატეთ კომპლექსური და პროფესიონალ მწვრთნელთა სიმწირე და მთლიანობაში ერთ დიდ პრობლემას მივიღებთ, რომლისგან თავის დაღწევაც მხოლოდ სწორი მუშაობით გახდება შესაძლებელი.
— თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემების უმრავლესობა ეროვნულ ნაკრებს არ აწუხებს, სასიკეთო შედეგი კი აქაც არ ჩანს...
— ერთ-ერთი მიზეზი მწვრთნელების გაუთავებელი ცვლაა. ევროპაში ეუწყურები თავის დროზე ბოსკაპის, მერე კი შუშაკის დანიშნებას, რადგან იმთავითვე ჩანდა, ამათ დიდხანს არ გააჩერებდნენ. ამიტომ ვფიქრობ, თუ იგივე პრინციპით მოიყვანენ მორიგ უცხოელს, შედეგი ნულის ტოლი იქნება. მწვრთნელთა გაუთავებელი ცვლა დამთრგუნველად მოქმედებს ფეხბურთელებზე. როცა ფეხბურთელმა იცის, რომ მისი ხელმძღვანელი პირველ წაგებამდე გუნდში, ასეთ დროს ფსიქოლოგიურ წონასწორობაზე ლაპარაკი ზედმეტია.
მოკლევადიან მწვრთნელობას მო-


აქვს შიში, წაგების შემთხვევაში დროს მეტოქის მიერ შემოიჭრება. ტაქტიკაზე მორგებას ცდილობს მწვრთნელი, ეს კი საქართველოს რანგის ნაკრებისთვის გაუმართლებელია. პირით, როცა დასაკარგი არაფერი გაქვს და ფაფორიტს ეთამაშები, სცადე შენი მოსაზრება მოახვიო მეტოქეს თავს, ასეთი რამ ჩვენს ნაკრებს არასდროს გაუკეთებია. პრობლემა ისიც, რომ ჩვენ გვეყვს ვითომ გადასაღობი სხეული, მაგრამ არა ერთსულოვანი გუნდი. ჩვენი ნაკრების წევრების უმრავლესობა უკვე ასაკშია, ამას კი დამატებით სირთულეები მოსდევს თუნდაც ამპიცილინის თვალსაზრისით. ასაკი თავისას აკეთებს, წამსულელი უნდა წავიდეს.
— მეორე, საკამათო არ უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებს გამოცდილი ევროპელი მწვრთნელი სჭირდება. როგორი უნდა იყოს იგი და რა პირობები უნდა ჰქონდეს აქ ჩამოსულ უცხოელს?
— მას უნდა ჰქონდეს მინიმუმ 20-წლიანი მწვრთნელობის სტაჟი, აუცილებლად ნამუშევარი უნდა იყოს სანაკრებო დონეზე. მასთან ურთიერთობის კრიტერიუმად არამც და არამც არ უნდა ჩაითვალოს ცალკეულ მატჩებში მოპოვებული წარმატება. მოწვეული მწვრთნელი უნდა იყოს განათლებული, კომუნიკაბელური. რაც შეეხება პირობებს: მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ გააკონტროლოს ჩვენს ქვეყანაში მთელი საფეხბურთო ვერტიკალი — ბავშვთა ფეხბურთიდან ეროვნულ გუნდამდე. კარგი იქნება, თუ საბაზო გუნდი ეყოლება. აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა ფედერაციის ხელმძღვანელებთან და ყველაზე მთავარი — დრო. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ ეს ყველაფერი მოხერხდა, იქნება იმედგაცრუება, ბევრი წაგებული თამაში, მაგრამ შედეგი აუცილებლად მოვა და ეს შედეგი იქნება ქართული ფეხბურთისთვის წარმატების მომტანი.
— რამდენიმე დღის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. რას იტყვით ჩვენ მეტოქეებზე და ქართველთა შანსზე...
— ასეთი რთული ვეგუფი ჯერ არ შეგვხვედრია. გამოკვეთილი ლიდერი არ ჩანს და ეს არის საქართველოს დონის ნაკრების პრობლემა. არაფრის მოძველება იმაზე ფიქრი, რომ ფაფორიტები ერთმანეთში ქულებს დაკარგავენ. საქართველოს შანსი თავისი ტაქტიკის და სტრატეგიის რაც შეიძლება ხშირად წარმოჩენაშია დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კალენდარსაც. აჯობებს, თუკი ყაზახეთთან საშინაო მატჩით დავიწყებთ, რადგან პირველ ტურში მოგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს გუნდს.

გაბატა კვანცალიანი

ყურადღებო!
ფე აპირის საზნებურით სოლოამ დავიფო
1990-1996 წლებში დაგადებული
გაგუგუშვილის მიღება
ჩვენი მისამართი: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულის გადასახვევთან),
ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

ჯგუფი

იყო, არ იყო... კამათობდნენ მიუნხენში და ლიონში



ლიონი — სელტიკი. ფუნინიომ 30 მეტრიდან გაიტანა და 11 მეტრიდან გაუჭირდებოდა?

ბაიერნი 1:0 ანდერლხტი
10 მაკი (42)
ბაიერნი: კანი, ხალიძამიძე (შვი-
ნსტაიერი 78), კუფური, ლინკო, ლი-
ზარაზუ, პარტრიჯი, ბალაჰი, ზე-
რობერტი (სანიოლი 66), სანტა კრუ-
ზი, მაკი, პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ პიტცელდი
ანდერლხტი: ზიტკა, ფელაჰოვი (ვი-
ლმელსონი 63), ტიპინენი, კომპანი,
დემასტი, პასი (იაშუვი 78), ზეტე-
რბერი, ბასევილი, პენდრიუსი (კო-
ლარი 85), დინდანი, მორნარი
მწვრთნელი: უგო ბროსი
გაფრთხილება: ტიპინენი, ზეტერბე-
რი, ბასევილი, მაკი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
52 000 მაყურებელი

მიუნხენის „ბაიერნი“ ჯგუფურ ეტაპზე თამაში „ანდერლხტის“ გაიძლევიტ დაასრულა და მერვედფინალში გავიდა. არადა, ბოლო ტურამდე მიუნხენელები ჯგუფში ბოლო ადგილზე იყვნენ.

ახლა გერმანელებს ალბათ ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მომდევნო ეტაპზე საკარადოდ ძალიან ძლიერი მეტოქე ერგებათ — დებულებით მეორეადგილოსანი სხვა ჯგუფის პირველადგილოსანს უნდა შეხვდეს.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა რამდენიმე საგოლე მომენტი გააფუჭეს და გოლის გატანა ოდენ პენალტით შეძლეს. ბელგიელთა მცველმა მიხაელ ველაკომ საჯარიმოში კლადიო პიზარო დასცა. პენალტი კი როი მაკამ გაიტანა, რომელიც მისი მეხუთე გოლი იყო იყო ექვს სალიგო თამაშში.

„უეჭველი პენალტი იყო, ორი აზრი არ არსებობს — თქვა ნამატჩევს ოტმარ პიტცელმა — მაკამ კი დარტყმისას სამაგალითო ცივისსხლიანობა გამოავლინა.“

სიომინმა აბრამოვიჩი ინატრა

არსენალი 2:0 ლოკომოტივი
10 პირესი (12), 2:0 ლუნგბერგი (67)
არსენალი: ლემანი, ტურე, ვემბუელი, სიგანი, ე. კოული, ლუნგბერგი, ვიერი, ფილბერტი სილვა, პირესი, ანრი, ბერესკამპი (კანუ 75)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლოკომოტივი: ოგინიკოვი, ვესევი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ლეკტეტი, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი, სოხლოვი, ბუზნიკინი (გურენკო 46), აშ-ვეითი (პარკსი 46)
საბაიტიანი სათადარიგო იყო
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ლეკტეტი, ვიერი, ვესევი, ლეკტეტი
გამყვება: ლეკტეტი (45)
მსაჯი: ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი)
35 343 მაყურებელი

დიანამო 1:1 ინტერი
0:1 ადანი (69), 1:1 რინკონი (86)
დიანამო: შოკოვსკი, დმიტრულინი (ჩერნატი 78), ნესმანი, გავრანჩი, საბლიჩი, ბელკევიჩი, პევი (მილესკი 85), გიოანე (გუსევი 74), ლეკო, შაკიხი, რინკონი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
ინტერი: ტოდო, ი. კორდობა, ადანი, კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა, ემრე ბელოზოლდო (რეკობა 88), პასკუალე ვან დერ მელიე (მარტინსი 49), ვიერი, კრუზი (ლაშუვი 83)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკორინი
გაფრთხილება: ვიერი, პასკუალე
მსაჯი: ფილ ვესი (საფრანგეთი)
82 500 მაყურებელი

პირველი ტურის მატჩში, რომელიც სექტემბერში კიევში გაიმართა, კიევის „დინამომ“ „ლოკომოტივი“ 2:0 დაამარცხა. იმ შეხვედრაში

თუმცა პენალტის თაობაზე სხვა აზრი მაინც არსებობს და ის სტუმართა მწვრთნელ ჰუგო ბროსის ეკუთვნის: „პენალტი უსამართლოდ დაინიშნა. საქმე ის არის, რომ ბელგია პატარა საფეხბურთო ქვეყანაა და მას ხშირად ჩაგრავენ.“

შესვენების მერე სიტუაცია შეიცვალა და ისე ჩანდა, თითქოს „ბა-

იერი“ ერთბურთიან უპირატესობას დაყაბულდა და მთელი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადაიტანა. ამით გახელდებულმა ბელგიელებმა იერიშებს უმატეს და არუნა დინდანი და იამჩუკმა რამდენიმე უსახიფათოესი მომენტი შექმნეს.

„აი, უკვე მერამდენედ მიწვეს

ჯგუფი

მსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელშიც ბერესკამპი, ანრი და ლუნგბერგი მონაწილეობდნენ. შევიდი ისე შენთო საჯარიმოში, როგორც სჩვევია, გზად რომ არავის ერიდება და ზოგჯერ მეკარეებიც გადაუთელავს. ოგინიკოვიც აშკარად დაამუხრუჭა ლუნგბერგის აღმართული ფეხის დანახვაზე, „ლოკომოტივის“ კარის დარაჯს ბურთი თავზე გადაეწვლი და კარში ჩაეშვა. „პაბიერი“ 0:2-ის გამქვითავი კაცნაკლული „ლოკო“ არ იყო და მოსკოველებიც კივიდან მათთვის

სახარბილო ამბებს ელოდნენ. კიევში დანივლე ადანის გოლი იმას ნიშნავდა, რომ მეორე ადგილზე „ინტერი“ აინაცვლებდა და მერვედფინალში გააღწევდა. „დინამოს“ მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, მაგრამ საბოლოოდ მეტოქეებმა ოფლი „ლოკომოტივის“ წისკვილე დაასხეს. დიოგო რინკონმა უკრაინელთა მეზობლები გაახარა, სწორედ ისინი, რომელთა გვემითაც ჩემპიონთა ლიგის პირველი ტური დუბლით დაიწყო. იური სიომინმა ნამატჩევს აღნი-

შეაქო მეკარე პიტცელმა — მისი, გასაოცარი თამაში რომ არა, ჯგუფში ჩაერჩებოდი.“ ჰუგო ბროსმა კი დანახებით თქვა: „მეტოქე აშკარად დაეწაგრეთ და თუ ვინმე მოგებას იმსახურებდა, ეს ჩვენ ვიყავით.“

ეგებ ასეც იყო, მაგრამ „ბაიერი“ მერვედფინალშია, „ანდერლხტი“ კი უფას თასზეც ვერ გადავიდა. არადა, სულ იოლად შეიძლებოდა, პირიქით მომხდარიყო.

ლიონი 3:2 სელტიკი
1:0 ელბერი (6), 1:1 პართსონი (24), 2:1 ფუნინიო (52), 2:2 სატონი (76), 3:2 ფუნინიო (86)
ლიონი: კუბე, რეველიერი, ედმონსონი, კასაბა, ბერტოდი (კარერი 77), ჯ. დიარა, მალუდა, ფუნინიო (პ. მიულერი 89), ელბერი (დორასო 87), გოგუ, ლუინდულა
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
სელტიკი: შედმანი, მიალი, ბალდე, ვარგა, გრი (უოლესი 68), მილერი, ლენონი, ბეტროვი, სატონი (კენედი 80), პართსონი (სილა 68), ლარსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ლენონი, პართსონი, ბალდე
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
38 659 მაყურებელი

„ბაიერის“ მსგავსად „ლიონიც“ პენალტის წყალობით გააღწია მერვედფინალში. შეფასებებიც ანალოგიურია, ფრანგები პენალტს სამართლიანად მიჩნევენ, შოტლანდიელები კი, რა თქმა უნდა, უსამართლოდ.

პოლ ლე გუენი: „ურთულესი მატჩი იყო. მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავდა და ამის გამო ორმაგად გახარებული ვარ გამარჯვებით. ვვიქრობ, პენალტი აბსოლუტურად სამართლიანად დაინიშნა, თუმცა კი-

ღვე რამდენიმე გოლის გატანა ისედაც გემართებდა.“

მარტინ ონილი: „ბოლო ბალდე ბურთის ხელით ოდნავ შეეხო და მისთვის მოძრაობის მიმართულება არ შეუცვლია. ამასთანავე, ეს შემთხვევით მოუვიდა, ორთაბრძოლისას. სხვათა შორის, თავად ლიონელებიც არ ითხოვდნენ პენალტს და მსაჯის ეს გადაწყვეტილება მათთვისაც სიურპრიზი იყო.“

ამის მერე ერთმა ჟურნალისტმა ონილს ჰკითხა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ურს მაიერმა შეგებულად „ჩუქულიკო“. თავდაპირველად ონილმა კითხვას პასუხი არ გასცა და ჟურნალისტს ბოროტი მზერა მიაპყრო, მერე კი მაინც უპასუხა: „ამის დაჯერება არ შემძლია. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგაში ასეთი რამეები არ უნდა ხდებოდეს.“


„სელტიკს“ ორჯერ მოუხდა ახგარიშის გათანაბრება. პირველად, როცა ფუნინოს შესრულებული საჯარიმოს მერე ბურთი ხარისხამ აისხლიტა და ელბერმა დამატებაზე შეაგლო, მეორედ კი თავად ფუნინოს უშორესი მანძილიდან გატანილი გოლის მერე. აი, ბოლო წუთებზე გატანილი პენალტის შემდეგ კი სქოთებმა ვეღარაფერი მოახერხეს და უფას თასზე გადაბარდნენ.

Table with 2 columns: Team and Goals. Rows include Arsenal, Lokomotiv, Inter, Dinamo, and Lyon.

არსენალი 2:0 ლოკომოტივი
10 პირესი (12), 2:0 ლუნგბერგი (67)
არსენალი: ლემანი, ტურე, ვემბუელი, სიგანი, ე. კოული, ლუნგბერგი, ვიერი, ფილბერტი სილვა, პირესი, ანრი, ბერესკამპი (კანუ 75)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლოკომოტივი: ოგინიკოვი, ვესევი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ლეკტეტი, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი, სოხლოვი, ბუზნიკინი (გურენკო 46), აშ-ვეითი (პარკსი 46)
საბაიტიანი სათადარიგო იყო
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: ლეკტეტი, ვიერი, ვესევი, ლეკტეტი
გამყვება: ლეკტეტი (45)
მსაჯი: ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი)
35 343 მაყურებელი

შნა, რომან აბრამოვიჩის „ჩელსისთან“ შეხვედრას ვისურვებდი, რადგან ეს ძალიან საინტერესო მატჩი იქნებაო. სიომინის ოცნების ახდენა დღევანდელ წილისყრაზე დამოკიდებულია.

მათა ხუციშვილი
საბოლოო ცხრილი
არსენალი 6 3 1 2 9:6 10
ლოკომოტივი 6 2 2 2 7:7 8
ინტერი 6 2 2 2 8:11 8
დინამო 6 2 1 3 8:8 7
„არსენალი“ და „ლოკომოტივი“
გავიდნენ მერვედფინალში,
„ინტერი“ უფას თასზე



არსენალი — ლოკომოტივი. პირველი სამერვედფინალი გოლი რობერ პირესმა გაიტანა

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

გომბარდირი		
დიდი დროგბა	მარსელი	5
ჰაქან შუქერი	გალათასარაი	5
როი მაჯაი	ბაიერნი	5
დადო პრსო	მონაკო	5
ჟინინო პერნამბუკანო	ლიონი	4
ფერნანდო მორიენტესი	მონაკო	4
უესლი სონეი	აიქსი	4
დავიდ ტრეზუგე	იუვენტუსი	4
რუედ ვან ნისტელროი	მანჩესტერი	4

სამთელი ვასი		
რაიან გიგზი	მანჩესტერი	4
ტიერი ანრი	არსენალი	4
ჟერომ როტენი	მონაკო	4
დეკო სოუზა	პორტუ	3
ლუიზ ფიგუ	რეალი	3

პარისკენ დარტყმა		
ტიერი ანრი	არსენალი	12
დმიტრი ლოსკოვი	ლოკომოტივი	11
დეიბერსონ ჯოვანი	ოლიმპიკოსი	9
ივიცა ილიევი	პარტიზანი	9
პიტერ ლოვენკრანდსი	რეინჯერსი	9

კარში დარტყმა		
დიდი დროგბა	მარსელი	14
ტიერი ანრი	არსენალი	14
კარლ პობორსკი	სპარტა	11
აჰმედ ჰოსამ მიდო	მარსელი	10
მიხალის კონსტანტინუ	პანათინაიკოსი	10

თამაშებარი		
ჰაქან შუქერი	გალათასარაი	15
მატეა კეჟმანი	ჰსვ ეინდჰოვენი	15
ილჰან მანსიზი	ბეშიქთაში	14
დარკო კოვაჩევიჩი	სოსიედადი	14
ბენი მაჯარტი	პორტუ	14

დაჯარიმდა		
დიდი დროგბა	მარსელი	21
მიხაელ ბალაჟი	ბაიერნი	19
ჯაკობ ტეხეტო	ლოკომოტივი	19
გერტ ვერჰეინი	ბრიუგე	19
ფრანსისკო კოშტინია	პორტუ	18

მასზე დაჯარიმდნენ		
ლუიზ ფიგუ	რეალი	31
არუნა დინდანე	ანდერლექტი	27
ჰასან შაში	გალათასარაი	23
დერლუი სილვა	პორტუ	21
იბრაჰიმ უხუმეზი	ბეშიქთაში	21

ყვითელი ბარათი		
ჯაკობ ტეხეტო	ლოკომოტივი	4
ფრანსისკო კოშტინია	პორტუ	3
ედგარ დავიდსი	იუვენტუსი	3
დეკო სოუზა	პორტუ	3
ანდრია დელიბაშიჩი	პარტიზანი	3

წითელი ბარათი		
ჯაკობ ტეხეტო	ლოკომოტივი	1
კოფი ამპონსაჰი	აეკ	1
აიჰან აქმანი	გალათასარაი	1
გლენ დე ბუკი	ანდერლექტი	1
ანდრია დელიბაშიჩი	პარტიზანი	1
ჯენარო გატუზო	მილანი	1
ალესანდრო ნესტა	მილანი	1

დღეს შევიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისა და უფას თახჩს მეთექვსმეტედფინალის წილისყრები გაიმართება. კალათებში ხელის ჩაყოფას თბილისის დროით 15 საათზე დაინყებენ.

- უმთავრესი, ცხადია, ლიგის წილისყრაა და ქვემოთ მისი მექანიზმი გავარჩიოთ.
- 1 ერთი ქვეყნის კლუბები ერთმანეთს არ შეხვდებიან
 - 2 პირველ ეტაპზე ერთ ჯგუფში მოთამაშე გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან
 - 3 ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან
 - 4 ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან
 - 5 ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები მერვედფინალის პირველ მატჩებს საკუთარ მოედანზე ჩაატარებენ
- მერვედფინალის პირველი მატჩები გაისად 24-25 თებერვალს გაიმარჩება, საპასუხოები კი 9-10 მარტს.


ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ითამაშებენ

ჯგუფი	
პირველი ადგილი	მეორე ადგილი
A -- ლიონი (საფრანგეთი)	ბაიერნი (გერმანია) --- A
B -- არსენალი (ინგლისი)	ლოკომოტივი (რუსეთი) B
C -- მონაკო (საფრანგეთი)	დემორტივი (ესპანეთი) - C
D -- იუვენტუსი (იტალია)	სოსიედადი (ესპანეთი) - D
E -- მანჩესტერი (ინგლისი)	შტუტგარტი (გერმანია) - E
F -- რეალი (ესპანეთი)	პორტუ (პორტუგალია) -- F
G -- ჩელსი (ინგლისი)	სპარტა (ჩეხეთი) ----- G
H -- მილანი (იტალია)	სელტა (ესპანეთი) ----- H

უფას თახჩს მეთექვსმეტედფინალური ითამაშებენ

სელტიკი (შოტლანდია)
ინტერი (იტალია)
ჰსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
გალათასარაი (თურქეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
მარსელი (საფრანგეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)
ბრიუგე (ბელგია)

ტრეზუგე: 3000



ლიგის უხუცესი დენი ვერლინდენი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში რამდენიმე რეკორდი დამყარდა. ტურინის „იუვენტუსმა“ „ოლიმპიკოსს“ შვიდი გოლი გაუტანა, რომელთაგან ორი დავიდ ტრეზუგემ შეაგდო. ფრანგის მეორე გოლი კი ისტორიაშიც შევიდა, როგორც ჩემპიონთა ლიგის დაარსებიდან მე-3000 გოლი.

აქამდე ლიგაში მოუგებელი სერიის ანტირეკორდი მოსკოვის „სპარტაკს“ ეკუთვნოდა, რომელმაც ზედიზედ 17 შეხვედრაში ვერ გაიმარჯვა. „მონაკოსთან“ მატჩის წინ ამდენივე მოუგებელი თამაში შექონდა დაგროვებული ათენის აეკ-საც და რაკი ბოლო ტურში ვერც ფრანგული კლუბი დაამარცხა, 18-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. ეს ახალი აბსოლუტური ანტირეკორდია.

და ერთი რეკორდიც. სამშაბათს „ბრიუგეს“ მეკარე დენი ვერლინდენი ჩემპიონთა ლიგის უხუცესი მოთამაშე შეიქნა. „აიქსთან“ მატჩის დღეს ის 40 წლის, სამი თვის და 24 დღისა იყო.

ლიგის საიუბილეო გოლები

1	დანელ ამოჯაჩი	ბრიუგე	25.11.92	ცსკა 1:0
500	ზლატკო ზაჰოვიჩი	პორტუ	30.10.96	რუსენბორგი 3:0
1000	დმიტრი ხოხლოვი	ჰსვ ეინდჰოვენი	09.12.98	ბენფიკა 2:2
1500	ჯოვანი ელბერი	ბაიერნი	09.05.00	რეალი 2:1
2000	ფერნანდო კოუტუ	ლაციო	19.09.01	ნანტი 1:3
2500	ივან ერგიჩი	ბაზელი	22.10.02	ვალენსია 2:2
3000	დავიდ ტრეზუგე	იუვენტუსი	10.12.03	ოლიმპიკოსი 7:0




კომერციული და იურიდიული იყო ღრმად, პარმალატ სხვა იყო და ტანცუბის თითოს ნუ იქნავ, რობერტო!

თუკი საკვები პროდუქტების მწარმოებელ კომპანია „პარმალატს“ ფინანსურად მართლა ცუდად აქვს საქმე, ანუ ხარჯის შემცირება სჭირდება, არ არის გამორიცხებული, თვალში ყველაზე მეტად ფეხბურთის კლუბი „პარმა“ გაეჩხიროს და უპირველესად სწორედ ის გაყიდოს. იქნებ, მანამდე „პარმალატს“ მოუწიოს საუკეთესო ფეხბურთელების გასხვისება.

ყოველ შემთხვევაში, ამ კვირაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, „პარმალატის“ წლიური 560 მილიონ დოლარამდე და უახლოეს ხუთ დღეში 160 მილიონის გადახდა მართებს.

ერთი სიტყვით, საჭიროა თანხის სწრაფად გამოძებნა, ხოლო ეს „პარმალატს“ ფეხბურთელების გაყიდვითაც შეიძლება.



საქმეს ისეთი პირი უნდა, რომ სტეფანო ტანცუბის „პარმალატის“ ხელიდან ეცლება და „პარმა“

ალბათ გახსოვთ, რომ „პარმალატს“ თხუთმეტი წელიწადია ტანცუბის ოჯახი ხელმძღვანელობს. სწორედ ამ ოჯახის დამსახურება პატარა ქალაქის კლუბმა თავისი მფლობელთა თასი, უეფას თასი და ევროპის სუპერთასი რომ მოიგო, თუმცა ბოლო ორი წელიწადია მან პოლიტიკა შეცვალა: „პარმა“ გაყიდა ისეთი აღიარებული ვარსკვლავები, ადრიან მუტუ, მარკო დი ვაიო, ჯანლუიჯი ბუფონი და ფაბიო კანავარო რომ არიან, ხოლო გამონათვისსუფლებული და ნაშო-


ვნი თანხები ახალგაზრდათა წარმოჩენასა და აღზრდაზე გაუშვა. ახლოვდება იანვარი, სატრანსფერო ბაზრობის დრო, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჩელსი“ ისევ შეეცდება სებასტიან ფრეის შექმნას, რომელიც თითქოსდა სეზონის ბოლომდე „პარმაში“ უნდა დარჩენილიყო. „იუვენტუსი“ ალბათ, 21-წლამდელთა ნაკრების წევრის, ალბერტო ჯილარდინოს წაყვანას შეეცდება, ხოლო მარკო ბრეშანი და მარკო მარკონი უეჭველად დიდი კლუბების თვალსაწიერში ამოჰყოფენ თავს.

„პარმალატს“ ეს მდგომარეობა ბევრს „ლაციოს“ 2002 წელს აგონებს, როდესაც კომპანია „ჩირიოს“ ფინანსურად დაეხმარა ამ კლუბს სერიოზული პრობლემები შეუქმნა და სწორედ ამის გამო იყო ერნან კრეზპო და ალესანდრო ნესტა რომ გაიყიდნენ. მაშინ „ლაციოს“ ამ ორ ფეხბურთელში 80 მილიონი დოლარის ტოლფასი თანხა მიიღო, მაგრამ დღეს კლუბს მაინც აქვს პრობლემები.


„ლაციოს“ გენერალურმა დირექტორმა, ჯუზეპე დე მიტამ განაცხადა, რომ გუნდის ჩემპიონთა ლიგადან გადარდნის შემდეგ მომავალი ერთობ ბუნდოვანი გახდა. ეს სრულიად გასაგებია, რადგან ლიგაში მოპოვებული წარმატებები შემოსავლის დინებას ნიშნავდა, ახლა კი იქნებ ფეხბურთელების გაყიდვაში ხსენებულ „პარმალატს“ გაუწყლოს.

„ყველაფერი ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დამოკიდებული — აღიარა დე მიტამ — ბაზარი ბაზარია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. და მაინც, ამ სეზონში ორი მიზანი გვაქვს. სერია A-ს ჩემპიონობა და იტალიის თასი“.

შემდეგ დე მიტამ თქვა, რომ დღევანდელი სიტუაცია გამოაჩენს კიდევ შეიძლება თუ არა „ლაციოს“



სიმონე ინმაგის რობერტო მანჩინი შემოსწერა



გაძლიერებაზე ფიქრი. „მწვერთელი რობერტო მანჩინი ხუთწლიანი კონტრაქტითაა ჩვენთან შეკრული და მომავალს მასზე ვაწყობთ. მას ჩვენი პროექტისა სწამს, ვიცი, რომ მანჩინი შემაღვწელობს რადიკალური ცვლილების შემთხვევაშიც ჩვენთან დარჩება“ — დასძინა გენერალურმა დირექტორმა, ოლონდ მანჩინის და თავდაპირველად მანჩინის კონფლიქტზე ისე თქვა, თითქოს აქ არაფერი.

გავისწავლოთ, რაზეა ლაპარაკი: ოთხშაბათს, „ლაციოსა“ და „სპარტას“ შეხვედრაში (ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურზე საუბარი) მანჩინის ინმაგის თამაში არ მოეწონა და პრესკონფერენციაზე ასე განაცხადა:

„არ მომეწონა მეორე ტაიმში მოედანზე შესულთა მოქმედებე-

ბი. მათ ძალიან ცოტა გაიღეს, არადა ასეთი მნიშვნელობის შეხვედრებში მე თავდადებული ხალხი მჭირდება. თუ თავდადება არ უნდა, მაშინ შინ უნდა დარჩნენ“.


ბუნებრივია, ახალგაზრდა სპეციალისტი სერჯიუ კონსეისაუს არ გულისხმობდა, რადგან იგი მოედანზე 89-ე წუთზე შეუშვა.

„მანჩინის ნათქვამს არ ვეთანხმები — თქვა ინმაგიმ თავის მხრივ, — მართალია, გავარდნამ გამანაწყენა, ამაში პასუხისმგებელი ყველანი ვართ, მაგრამ თითის ცალკეული აღმამანებისკენ გაშვება შეცდომაა“.

ინმაგის, ბუნებრივია, არ უთქვამს, რომ მანჩინი მას აშკარად ამჯობინებს ბერნარდო კორადის და ათამაშებს კიდევ მასზე ხშირად.

ბაპუზა კაღია

დიდი დიდი იმედი ლივი ბრანკატონის, ლეონი ლივის



დიდი ლეონი ძალიან გულგრილად შეხვდა ჭორებს იმის შესახებ, რომ იგი „იუვენტუსის“ მომავალი მწვერთელია. „ვიცი, რა და როგორ ეწერა, მაგრამ სინამდვილე არასწორადაა აღქმული — თქვა „მონაკოს“ თავკა-


მა — ამიტომ ამ სეზონში ამ საკითხზე არაფერს ვიტყვი“.

არადა, ყველაფერი მისივე განცხადებიდან მოდის. ორიოდ დღის წინ დეშანმა თქვა, რომ როდესაც მარჩელო ლივი „იუვენტუსიდან“ წავა, იგი სიამოვნებით დაიკავებს მის ადგილს. ამას, ბუნებრივია, მიუხედავად კუდები. კერძოდ, თქვეს, რომ ევრო 2004-ის შემდეგ იტალიის ნაკრების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგება ჯოვანი ტრაპატონი, რომელსაც მარჩელო ლივი შეცვლის, ხოლო ლივის ადგილს „ბებერი ქალბატონის“ შეფის თანამდებობაზე დეშანი დაიჭერს.


ლეონარდარული მიშელ პლატინიც შეეხმინა დეშანის თემას.

„დიდი აუცილებლად დაბრუნდება ტურინში — განუცხადა მან ფრანგულ გაზეთ „უკიპს“ — მაგრამ ეს ჯერ არ მოხდება. კიდევ რამდენიმე წელიწადია საჭირო. მე ეჭვება, „იუვენტუსი“ — თუ მას მწვერთელის მოძებნა დასჭირდება — ნაკლებად გამოცდილ ადამიანს დასჯერდეს. მეორე მხრივ, მწამს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდი ასეთი გრანდის მწვერთელობასაც შეირგებს“.

ბაპუზა კაღია



საქმეს ის გარემოებაც ხლართავს, რომ „ჩელსი“, შესაძლოა, მწვერთელად სწორედ ერიკსონი დაიყენოს (რაც, სავარაუდოდ, ევროპის მოახლოებული ჩემპიონატის შემდეგ მოხდება), ხოლო ერიკსონი ნედვე-



თუ შვედი, მაშინ ჩხი


ერიკსონმა ჩალსის ნედვედი ურჩია

ლის ლაციოსდროინდელი მასწავლებელია. მოკლედ, შვედის რჩევა ლონდონელთა მიმართ შეიძლება სულაც არ არის რჩევა, არამედ არის კონკრეტული, საქმიანი მორიგება: მოვიდვიარ და ეს კაცი დამახვედრეთო.

ნეპოია: „პაველის ყოფილი „ჩელსის“ რომ სურს, „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ მითხრა. სხვა საქმეა, რომ მოჯიმ რომან აბრამოვიჩის „არა“ შეუთვალა. გასაგებია, რაც ხდება. აბრამოვიჩის ნედვედის შექმნა სვენ

ინგლისის ნაკრების მწვერთელის, შვედი სვენ გორან ერიკსონის რჩევით ლონდონის „ჩელსი“ ტურინის „იუვენტუსის“ ჩეზი პაველ ნედვედის მივიდვას სთხოვს და ფასად 40 მილიონ გირვანქას უთქვამს. ნედვედის უახლოესი მეგობარი, ადამიანი, რომელმაც იგი ვარსკვლავად აქცია, აგენტი ზდენკ ნეპოია კი ამბობს, რომ ლონდონელები პასუხად „არას“ არ მიიღებენ

ბაპუზა კაღია



ნესტორ ხერგიანი და ზურაბ ზვიადური თანაგლეხები ვერ გახდნენ

კუნძულურმა ბერძენებმა პარტიკულთან დააბოიანეს ხერგიანი თურქებთან ნავილა

საღმისოდ ერთდღიანი ქართული ათენის ლიცენზიისა და მიუნიციპალიტეტის ხერგიანის თამაშებისთვის ნაკრების სხვა მოჭიდდავთაგან განსხვავებული გეგმით მოემზადება. საერთაშორისო ფეხბურთის ფედერაციის წევრად დასაბუთების მიზნით ხერგიანი და ზურაბ ზვიადური სპორტული ტურნირებისა და თბილისური ტურნირის გარდა, თუმცა მას საერთაშორისო პრაქტიკა ამით მაინც არ მოაკლდება. მსოფლიოს ვიცეჩემპიონი კარგა ხანია გერმანულ კლუბ „აბენსბურგის“ ღირსებას იცავს და მომავალ წელსაც იქვე დარჩება.

ბა. „აბენსბურგის“ პრეზიდენტი ოტო ნეინგერი ლონდონში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც ჩასულა და ზვიადურის ლამაზი გამარჯვებებისთვის მიუდევნებია თვალი, პარალელურად კი რამდენიმე მისთვის საინტერესო მიუნიციპალიტეტურ დასაკრებებია.


ოთარ მალაგაძე

ავტორბოლა

ფორმალური შუამხიერი ფორმალურსა და გაეჯიბრა

მიხედავ შუამხიერმა მიწაზე ხომ ყველას აჯობა და ახლა ცაში გამოკიდებულები გამოიწვია. ფორმულა 1-ში ახლა ზამთრის ძილის მისცემან, მაგრამ მსოფლიოს ექვსეზის ჩემპიონმა მაინც გაახურა თავისი რკინის ბედაური „ფერარი F2003 GA“ და რიმიდან 140 კილომეტრში ბაკარინის აეროდრომში იტალიის შეარაღებული ძალების ავიაციამანადგურებელს „ტაიფუნს“ გაეჯიბრა.

ნავს, 600-მეტრიან დისტანციასზე როლა მოუვლი კიდევ, მაგრამ ვინაიდან მისი რაშის სიჩქარე შეზღუდულია, მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმერს მოუხერხა ტაიფუნს, შემდეგ ორ გარბენში 900 და მით უმეტეს 1 200 მეტრზე თვითმფრინავს კი ყოფილი იტალიელი ასტრონავტი მაურიციო ჩელი მართავდა.



რეპუტაციული რეპორტი


რუსები მთლად არ დაჩინანაკებულან, იანკებს ულტიმატუმებით ელაპარაკებოიან

10 დეკემბერი
გაუფალო 2:7 დებროიტი
1:2 0:0 1:5
1:0 ბრიარი (5), 1:1 დაციუკი (15), 1:2 მოლტბი (17), 1:3 დაციუკი (49), 1:4 დრეპერი (50), 1:5 ჰუდლერი (55), 2:5 ჰებტი (55), 2:6 ზნაიდერი (57), 2:7 დვერო (59)

„დეტროიტში“ ლომინიკ ჰაშეკის დაბრუნების შემდეგ გადაწყდა, რომ კერტის ჯოზეფი გუნდიდან უნდა წასულიყო, რაკი ორივე მეკარის ხელფასი ჯამში 16 მილიონ დოლარს შეადგენდა. გუნდის ბოსებმა „კუჯოს“ გაიფიქრა მონდომეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ფარმკლუბს გადაულოცეს. დაქვეითებით შეურაცხყოფილმა ჯოზეფმა ამ დამცირების შემდეგ კარიერის დასრულებაც კი გადაწყვიტა, მაგრამ მერე ის „დეტროიტში“ ისევ დასჭირდა...

„ლოს ანჯელესთან“ წინა მატჩში კი ჰაშეკმა და კიდევ ერთმა მეკარემ მელი ლეგასმა, ტრავმები მიიღეს და „წითელფრთიანებს“ კვლავ „კუჯოს“ გამოძახება მოუხდათ. ჯოზეფის სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად უსიამოვნო თავგადასავლისა და არეული გონებისა, მან ღირსეულად ითამაშა ბუფალოში. იგივე ითქმის მთელ გუნდზეც — „წითელფრთიანებს“ ძირითადის 10 (!) მოთამაშე აკლდათ, მაგრამ მეტოქე მაინც გაანადგურეს, რაშიც, ცხადია, ათამაშებულ ჰაველ დაციუკსა (2+1) და ბრეტ ჰალს (1 პასი) დიდი წვლილი მიუძღვით. ჰალმა ზედღებდ მე-8 თამაშში მიივალა ქულები.

ნიუ ჯარსი 1:0 აილანდარსი
0:0 0:0 0:0 1:0
1:0 ელიაში (63)
„ნიუ ჯარსი“ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდი არ არის და 9 წელიწადში სამჯერ რომ გაჩემპიონდა, მართლაც რომ საკვირველია, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. მდიდარი და შემდეგული გუნდებისგან „ემპაკებს“ ერთი უნიკალური თვისება განასხვავებთ — მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებენ თავიანთ თავს და გამუდმებით ეძებენ შანსს. მთელი სამი პერიოდის მანძილზე „ნიუ ჯარსი“ აშკარად სჯობდა მეტოქეს, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. შემდეგ ოვერტაიმში პატრიკ ელიაშმა ბულიტიც კი გააცუდა, მაგრამ თავად გამოისყიდა დანაშაული და თანაგუნდელებს მაინც მოუტანა ორი ქულა.



„დეტროიტის“ მეკარე კერტის ჯოზეფი საქმეს ენთუზიაზმით შეუღდა

ბენ თავიანთ თავს და გამუდმებით ეძებენ შანსს. მთელი სამი პერიოდის მანძილზე „ნიუ ჯარსი“ აშკარად სჯობდა მეტოქეს, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. შემდეგ ოვერტაიმში პატრიკ ელიაშმა ბულიტიც კი გააცუდა, მაგრამ თავად გამოისყიდა დანაშაული და თანაგუნდელებს მაინც მოუტანა ორი ქულა.

ატლანტა 4:3 ლოს ანჯელესი
1:2 0:0 2:1 1:0
0:1 რობიტალი (6), 0:2 კლერი (7), 1:2 საკარი (8), 2:2 კოზლოვი (56), 3:2 მაკვერნი (59), 3:3 კორკო (60), 4:3 სავარი (64)

ანაპიონი 3:2 სან სოსა
0:2 1:0 2:0
0:1 ჰენინი (8), 0:2 პარკერი (17), 1:2 მაკდონალდი (40), 2:2 სიკორა (48), 3:2 სალვი (49)
ფინიქსი 2:1 დალასი
1:0 0:0 1:1
1:0 დოუნი (9), 2:0 ლენგკოუ (45), 2:1 დეილი (49)
ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ „დალასის“ თავკაც დეიკ ტიპეტს სამუშაოს დაკავების საფრთხე დაემუქრა, თუმცა შეუძლია, თავი იმით ინუგეშოს, რომ პირველი ნამდვილად არ იქნება, ვისაც წელს პოსტი დაატოვებინეს. გუმინ „ვინინგტონმა“ გადადგა ეს ნაბიჯი და ბრიუს კესილი გაუშვა.


რეინვარსი 1:2 მონრეალი
0:1 1:0 0:1
0:1 რობერიო (13), 1:1 საიმონი (31), 1:2 ბულისი (47)
კოლუმბუსი 1:1 ფილადელფია
1:0 0:0 0:1 0:0
1:0 მელტრა (7), 1:1 კაპანენი (59)
„ფერდვის საქმე“ ჯერაც არ დასრულებულა, თუმცა „კოლუმბუსის“ ახალბედა უკვე გაუშინაურდა თავის გუნდს. მან 4 თამაშში 1 გოლი და 2 პასი დააგროვა და თავისი ტექნიკითა და სასწაულებრივი ფინტების წყალობით ქომაგთა გულბეც მოინადირა.

რუსეთს ჰოკეის მამები კი კვლავ ბობოქრობენ. ოთხშაბათს ამერიკელები და რუსები შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს. რუსთა ფედერაციამ თავისი არგუმენტები წარადგინა. ოკეანისგამდებლები დაპირდნენ, რომ ერთ კვირაში პასუხს გასცემენ. თავის მხრივ, რუსებმა განაცხადეს, რომ თუ ერთ კვირაში ვერდები სამშობლოში არ დაბრუნდება, ისინი რადიკალურ ზომებს მიმართავენ. შესაძლოა, მათ პროტესტის ნიშნად 2004 წლის მსოფლიოს თასზე რუსეთში მოთამაშე ჰოკეისტების გუნდი გაგზავნონ და არა ნკლ-ელებისა.
ფლორიდა 1:1 ბოსტონი
1:0 0:0 0:1 0:0
1:0 ბურე (5), 1:1 დონატო (51)


მთავარია გაბეგბა პიტსბურგმა ფლერის კაიბიჭობა დაუფასა

„პიტსბურგის“ ეუნდერკინდი მეკარის მარკ ანდრე ფლერის უახლოესი მომავალი გამოიკვეთა. გუნდის ხელმძღვანელობამ ნება დართო 19 წლის ნორჩს მსოფლიოს ჩემპიონატზე დეკემბერ-იანვარში ახალგაზრდულ ნაკრებში კანადის ინტერესები დაიცვას.
„პინგვინთა“ მამებმა განაცხადეს, რომ მარკ-ანდრე, ნკლ-ის ჩემპიონატში გამოტოვებული მატჩების მიუხედავად, სრულად მიიღებს თავის ხელფასს 1,24 მილიონს. ნკლ-ის წესებით, ეს აკრძალულია, მაგრამ ლიგის შესწავლებმა გამოწვევით დაუშვეს, რაც ალბათ ფლერის ბოლოდროინდელი განცხადებებმა განაპირობა. რაკი ჰოკეისტი თანახმაა, უპრემიოდ ითამაშოს, ოღონდ სეზონის ბოლომდე გუნდში დარჩეს, გუნდის მხრიდან კეთილმა შესტმაც არ დააყოვნა.

განსვით ალბათ, თუ ფლერი კლუბში 25 თამაშს ჩაატარებს, 3 მილიონი დოლარი პრემია ერგება, რაც კატასტროფა კრიზისში მყოფი „პიტსბურგისთვის“ ამბოტომ ცდილობენ, როგორმე გამოატოვებინონ თამაშები, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესოა გუნდში. ახლა ერთ თვეს ფლერი მსოფლიოს ჩემპიონატის გამო გამოტოვებს. რა იქნება მერე?
ამ დღებში „პინგვინებმა“ ცოტა ამოიხუნთქეს, რაკ კლუბის მფლობელმა და ამასთანავე კაპიტანმა მარკო ლემიემ უარი თქვა დამატებით 5 მილიონი ჰონორარის მიღებაზე. ეს თანხა „პიტსბურგის“ დირექტორთა საბჭომ დაუნიშნა მას ღვაწლის დასაფასებლად. შეგახსენებთ, რომ ლემიეს წლიური ხელფასი 5,25 მილიონ დოლარს შეადგენს და იგი უკვე ერთი თვეა ვერ ასპარეზობს ბარძაყის ტრავმის გამო.




სამხელ ლარიბიანი



წლის ფოტოები

წელი სრულდება და საქმეში ჩახედულმა ხალხმა წლის საუკეთესო სპორტული ფოტოები გამოავლინა. ამათგან რამდენიმეს ამ გვერდზე ვთავაზობთ. ერთზე ტალღების გამშობი ავსტრალიელი მოცურავე, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი იან ტორპია, ვინაც 10 ივლისს ბარსელონურ „დიდ წყალში“ 400 მეტრზე ჩაუტობისას დააფიქსირეს. მეორეზე „მილანის“ ბრაზილიელი მეკარე დიდა და უკრაინელი მეგოლე ანდრეი შევჩენკო ტურინის „იუვენტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოგებული პენალტების სერიის მეორე ხარობენ. მესამეზე ლეგენდარული ამერიკელი მრბოლი, ტურ დე ფრანსის უკვე ზედიზედ მეხუთედ მომგები ლენს არმსტრონგი მიჰქრის. მეოთხეზე ამერიკელი მორბენლის, ტაირე ვაშინგტონის ლანდია, რამაც ხორცი წლეულს პარიზში, მძლეოსნობის მეცხრე მსოფლიოს ჩემპიონატზე შეისხა. მეხუთეზე კი დევიდ ბექემის თავი მოსჩანს გისოსებს იქიდან მოფოტოგრაფე ჩინელ ქომაგთა ფონზე — ევ ამბავი მადრიდის „რეალის“ ჩინეთში სტუმრობისას, 26 ივლისს ხდება.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი "სურაბ ჯონხაძე"ს
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიხრაიანი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თაყაიშვილი
კობა მანასაძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი ვაჟა ახვლედიანი, ალია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულაშვილი, ვიორჯი დარჯანა, ვიორჯი ვაშაძე, ლალი ხიმშიაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლავაძე, თორმალა კვლავაძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი, სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, რუსუდან დარსაყვლიძე, სვეტა დევიძე, ფატი დევიშვილი, მაგლა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტარაძე, თენგიზ ფიფინაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarblieli.com.ge>